

სიტუაციურ ცვლილებებთან მორგების თავისებურებანი ფიქსირებული
განწყობის დინამიკის შესწავლის გზით იშემიური ინსულტის
შემთხვევებში

მარიტა შეშაბერიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ინსულტის დროს განვითარებული პათოფსიქოლოგიური ძვრები, ემოციური ცვლილებები, ადვილად აგზნებადობა და იმპულსურობა, აზროვნების შენელება თუ მეხსიერების დაქვეითება კლინიკური ნევროლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. უახლეს კვლევებში, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ინსულტით გამოწვეულმა ნეიროგენეზმა, როგორც თვითრეაბილიტაციის პროცესში მონაწილე მნიშვნელოვანმა მოვლენამ, რომელმაც გააჩინა სამომავლო, სრულიად ახალი პერსპექტივა ნეიროდეგენერაციული დაავადებების მკურნალობის სფეროში.

ინსულტის შემთხვევაში რეაბილიტაციური პროცესისათვის უნიკალური ნევროლოგიური რესურსის მეცნიერულმა დადასტურებამ აღნიშნულ მდგომარეობებში ფსიქოლოგიური ფუნქციონირების ბაზალურ დონეზე შესატყვისი ფარული რესურსის ძიებისაკენ გვიბიძგა.

ფიქსირებული განწყობის შექმნისა და შეცვლილი სიტუაციის გავლენით მისი შეცვლის ფაზური დინამიკის კვლევა იშემიური ინსულტის სხვადასხვა სიმძიმის შემთხვევებში განხორციელდა ჰაპტურ სფეროში მოცულობის ილუზიის ექსპერიმენტის გზით. კვლევის მიზანია ინსულტით დაავადებული პაციენტის ფიქსირებული განწყობის ფორმირებისა და ჩაქრობის ცალკეული თავისებურებების დაკავშირება ინსულტის კლინიკურ გამოვლინებათა სიმძიმესთან და რეაბილიტაციის პროცესთან, რაც შეიძლება ჰიპოტეტურად განხილულ იქნას დეროვანი უჯრედების წარმოქმნისარა მარტო პარალელურ არამედ შედეგობრივ პროცესად.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა ფიქსირებული განწყობის რიგი მახასიათებლების კავშირი იშემიური ინსულტით დაავადებული პაციენტების კლინიკურ მდგომარეობების სიმძიმესთან, გამოვლინდა მნიშვნელოვანი მიმართება ინსულტის სხვადასხვა ტიპებს, რეაბილიტაციის პროცესსა და ფიქსირებული განწყობის აგზნებადობისა და ჩაქრობის ტიპებს შორის.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ინსულტი, ფიქსირებული განწყობა, კონტრასტული ილუზია, ასიმეტრიული ილუზია, ნეიროგენეზი.